ახალი ხარაგაული

375 (6) 2 აპრილი, 2018 წ.

იმერეთის ვიცე- გუბერნატორმა ხარაგაულში ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგი განახორციელა

იმერეთის მხარის რწმუნებულის-გუბერნატორის პირველმა მოადგილემ, გრიგოლ დალაქიშვილმა, ხარაგაულის მერ ნიკოლოზ თოფურიძესთან და ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარ დეპუტატ კობა ლურსმანაშვილთან ერთად, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტები მოინახულა. მონიტორინგს მერის პირველი მოადგილე არჩილ მაღრაძე და საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე დაესწრნენ.

აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლებმა სოფელ ლეღვნისა და ვანის დასრულებული საგზაო ინფრასტრუქტურა დაათვალიერეს, შეხვდნენ მოსახლეობას და მათ საჭიროებებს ადგილზე გაეცნენ. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივები გზაზე ბეტონის საფარის დაგებით გახარებული არიან და ხელისუფლების მიმართ კმაყოფილებას გამოთქვამენ. მათი სურვილია, სამუშაოები მომავალშიც გაგრძელდეს და შიდა საუბნო გზები რეაბილიტირდეს. ლეღვანში ცენტრალური გზის 4 000 მეტრიან მონაკვეთს კაპიტალური რეაბილიტაცია ჩაუტარდა, ხოლო ვანში გზა 3 700 მეტრზე მობეტონდა. პროექტების ღირებულება მილიონ-ნახევარ ლარს შეადგენს.

ამავე დღეს მხარისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები გაეცნენ ღარიხევში მიმდინარე საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობას. ზემოაღნიშნული პროექტები რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსდა. ადგილობრივი ბიუჯეტის თანამონაწილეობა თანხის 5%-ს შეადგენს.

იმერეთის ვიცე-გუბერნატორმა გრიგოლ დალაქიშვილმა შესრულებული სამუშაოების ხარისხი დადებითად შეაფასა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროექტების რაოდენობა ამ რაოდენობით გზა მუნიციპალიტეტში არასდროს გაკეთებულა და ყოველივე ეს ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების ურთიერთთანამშრომლობის შედეგია. დეტალური აქვე აღნიშნავს, რომ მიმდინარე წელს უპრეცედენტოდ დიდია ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება.

მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე განმარტავს, 2018 წელს ხარაგაულში კოლოსალური სამუშაოები ჩატარდება და ისეთ სოფლებში, სადაც მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა არასდროს ყოფილა, თანამედროვე სტანდარტების გზები გაკეთდება. „ერთიანი ძალისხმევით მუნიციპალიტეტისათვის ბევრი სასიკეთო და მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდება. ყოველივე ეს მხოლოდ დასაწყისია და შემდგომ წლებში ჩვენ გვექნება ბევრად მასშტაბური სამუშაოები. დარწმუნებული ვარ, მომდევნო 4 წელი გაცილებით წარმატებული იქნება ჩვენი რაიონისთვის. ხელისუფლების მიზანია, თითოეული მოქალაქის ოჯახში შევიდეს კეთილდღეობა და ქვეყანა სწრაფი ტემპით განვითარდეს.“-დასძინა მუნიციპალიტეტის მერმა.

მუნიციპალიტეტის მერმა თათბირზე მნიშვნელოვან საკითხებზე იმსჯელა

ნიკოლოზ თოფურიძემ მერიის ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებთან სამუშაო თათბირი გამართა. თოფურიძემ გასული ერთი კვირის განმავლობაში გაწეული საქმიანობა შეაჯამა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა. მოისმინა ასევე ინფორმაცია მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებსა და გამოცხადებული ტენდერების შესახებ. თათბირზე საუბარი შეეხო მუნიციპალიტეტის სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანის საკითხი. თოფურიძის განმარტებით, 2018-2019 წლებში ყველა სოფელში უნდა დასრულდეს ხიდებისა და ხიდ-ბოგირების მშენებლობა, ასევე წყლის სათავე ნაგებობების რეაბილიტაცია. „პირველ რიგში, უნდა გადავწყვიტოთ ის პრობლემები, რომლებიც ადგილობრივებს აწუხებთ. ყველა დაპირება, რაც შეხვედრის დროს გავეცი, უნდა შესრულდეს. ჩვენ ვართ ხელისუფლება, ვინც ხალხზე და ქვეყანაზე ზრუნავს და ამ მიმართულებით ყველა ღონეს ხმარობს მომავლის უკეთესობისთვის“,-აღნიშნა მერმა.

ბატონმა ნიკოლოზმა „აზიური ფაროსანას“ წინააღმდეგ სახელმწიფო პროგრამასთან დაკავშირებითაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ მომავალი კვირიდან ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგმება.

თათბირის დასასრულს მერმა წარმომადგენლებს სოფლებში მუდმივად და დროებით მცხოვრებთა ოჯახების აღწერა დაავალა. ნიკოლოზ თოფურიძის ინფორმაციით, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ სტატისტიკა, რამდენი კომლი ცხოვრობს ადმინისტრაციულ ერთეულებში, მათგან რამდენია სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი.

საჯარო მოხელეებისათვის ტრენინგები დასრულდა

საჯარო მოხელეთა გადამზადების კურსები წარმატებით დასრულდა. აღნიშნული ტრენინგები მუნიციპალიტეტის მერის, ნიკოლოზ თოფურიძის, ინიციატივით ორი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. სწავლება პირველ ეტაპზე მერიის სამსახურებისა და განყოფილებების უფროსებმა გაიარეს, შემდგომ კი-ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებმა. ლიდერობა, კონფლიქტების მართვა, ეფექტური კომუნიკაცია, თემის მობილიზაცია, ადამიანის უფლებები და დროის მენეჯმენტი - ეს ის თემებია, რომლებიც საჯარო მოხელეებს მოწვეულმა სერტიფიცირებულმა ტრენერებმა მარიამ ზაქარაიამ და ნანა გოგოხიამ ჩაუტარეს. კურსის დასრულების შემდეგ მონაწილეებს სერტიფიკატები მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ პირადად გადასცა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია, საჯარო სამსახურში მსახურობდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც მუდმივად ფიქრობენ პროფესიულ განვითარებაზე.

მერის წარმომადგენელი ზვარის ადმინისტრაციულ ერთეულში ბერიკა ტალახაძე მიიჩნევს, რომ დროის მცირე მონაკვეთში საკმაოდ დიდი ცოდნა შეიძინა და გამოიმუშავა ის უნარ-ჩვევები, რომლებიც მას სჭირდება როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში, ასევე საქმიანობაში. მისივე თქმით, ტრენინგის მიზანი გახლდათ კომუნიკაციის ძირითადი მიმართულებებისა და სხვა მნიშვნელოვანი ასპექტების განვითარება.

მერის წარმომადგენელი მოლითის ადმინისტრაციულ ერთეულში სპარტაკ ლაცაბიძე თვლის, რომ მსგავსი ტრენინგები საჭირო და აუცილებელია. „გადაუჭარბებლად ვიტყვი, რომ ბევრი ახალი რამ ვისწავლე. მეგონა, ცოტა რთული და, ამავდროულად, დამღლელი იქნებოდა, მაგრამ პირიქით მოხდა და ყოველი მომდევნო შეხვედრა მენატრებოდა. კოლეგებმა ძალიან ახლოს გავიცანით ერთმანეთი, რაც ურთიერთობებში მეტად მნიშვნელოვანია. დიდი მადლობა ნიკოლოზ თოფურიძეს, რომელმაც მოგვცა შესაძლებლობა, ვყოფილიყავით ამ მეტად საინტერესო თემის მონაწილენი. ასევე მადლობა ტრენერებს, რომლებიც დაუზარებლად, გვასწავლიდნენ და გვეხმარებოდნენ.“ - დასძინა სპარტაკმა.

შეგახსენებთ, რომ საჯარო მოხელეთა გადამზადება ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდა.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

მუნიციპალიტეტის მერმა სამსახურის უფროსებთან განვლილი ერთი კვირის მუშაობა შეაჯამა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ სამსახურის უფროსებთან თათბირი გამართა და განვლილი ერთი კვირა შეაჯამა. მერმა სამუშაო შეხვედრა სამადლობელი სიტყვით დაიწყო და კოორდინებული და გუნდური მუშაობისათვის ხელმძღვანელ პირებს მადლობა გადაუხადა. „რომ არა თქვენი ასეთი პროფესიონალიზმი და საქმის დიდი სიყვარული, წარმოუდგენლად მიმაჩნია იმ შედეგის მიღება, რისთვისაც ჩვენ ყველა ერთად ვიბრძვით. დღეს მწვავე პროცესები მიმდინარეობს მუნიციპალიტეტში, მაგრამ რეორგანიზაცია გარდაუვალია. აუცილებელია ყველა სისტემის დალაგება, სხვაგვარად ვერ შევძლებთ განვითარებას, ვერ წავალთ წინ. ამ რეფორმის მონაწილე ჩვენ ყველა ერთად ვართ და მჯერა, ღირსეულ კვალს დავტოვებთ ხარაგაულის ისტორიაში“.-აღნიშნა მერმა.

ნიკოლოზ თოფურიძემ თითოეული სამსახურის მიერ გასული ერთი კვირის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში მოისმინა. მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა აფრასიონ ლურსმანაშვილმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტში აქტიურად მიმდინარეობს უკანონო მშენებლობებისა და გარე ვაჭრობის მონიტორინგი. ზედამხედველობის სამსახური თითოეულ მოქალაქეს უგზავნის მოთხოვნის წერილს, რომ კანონიერად შეძლონ მშენებლობისა და გარე ვაჭრობის ნებართვის მიღება.

მერიის კულტურის სამსახურის უფროსმა ირინე ჩხეიძემ უახლოეს დღეებში დაგეგმილ კულტურულ ღონისძიებებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ სამსახური მზადებას იწყებს , რათა მუნიციპალიტეტში ღირსეულად აღინიშნოს საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილე.

ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის თემური თაბუკაშვილის ინფორმაციით, დაბაში მდებარე მრავალბინიანი ამხანაგობებისგან შემოსულია განაცხადები ბინების გადახურვის, სადარბაზოების გარემონტებისა და ფასადების განახლების მოთხოვნით. ნიკოლოზ თოფურიძემ დაავალა სამსახურის უფროსს, რაც შეიძლება დაჩქარებული წესით მოახდინონ სარეაბილიტაციო ბინების აღრიცხვა, დროულად მომზადდეს პროექტი და გაიგზავნოს შესაბამის სამინისტროში დაფინანსების მისაღებად.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ მერიის ქონების მართვისა და შიდა აუდიტის სამსახურები ერთობლივად მუშაობენ, როგორც ა(ა)იპ-ების, ასევე მუნიციპალიტეტის ქონების ინვენტარიზაციაზე და ამ კუთხით, ახალი მეთოდის შემუშავებას გეგმავენ, მეტი გამჭვირვალობისა და ღიაობის მიზნით.

სამხედრო სავალდებულო განვევების ხელშემშლელ ფაქტორებზე ისაუბრა ამავე სამსახურის უფროსმა დავით დევდარიანმა. მისივე ინფორმაციით, თავდაცვის სამინისტრომ გასაწვევთა რაოდენობა გაზარდა და ამის გამო პრობლემები შეიქმნა. დევდარიანის განცხადებით, ახალგაზრდები სხვადასხვა გზით თავს არიდებს სამხედრო სამსახურში წასვლას და გეგმის შესრულება ვერ ხერხდება.

შეხვედრაზე ყოველკვირეული ანგარიში წარმოადგინეს ასევე მერიის ჯანდაცვისა და სოციალური, საფინანსო და ადმინისტრაციული სამსახურის უფროსებმა, რომლებმაც სამომავლო გეგმებზე მერთან ერთად იმსჯელეს.

ხარაგაულის მერია დაუნის სინდრომის მსოფლიო დღეს ზეუერთდა

2011 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით 21 მარტი დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღედ დაწესდა. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ამ დღეს, დაუნის სინდრომის შესახებ ცნობადობის ამაღლების მიზნით, სხვადასხვა ღონისძიება იმართება, მათ შორის- საქართველოშიც. დაუნის სინდრომი გენეტიკური ცვლილებაა, რომლის დროსაც ნაყოფის უჯრედებში 46-ის ნაცვლად 47 ქრომოსომა ჩნდება და ათასი ბავშვიდან ერთი სწორედ ამ სინდრომით იბადება.

აღსანიშნავია, რომ დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეს ხარაგაულის მერიაც შეუერთდა და მუნიციპალიტეტში მცხოვრებ დაუნის სინდრომის მქონე ექვს პიროვნებას პირად ანგარიშზე 100-100 ლარი ჩაერიცხა.

ჩემი პროფესია მათემატიკის სიყვარულმა განსაზღვრა...

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურს ახალგაზრდა და ნიჭიერი ხარაგაულელი გიორგი ჭყოიძე ხელმძღვანელობს. გიორგი ამ მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე არცთუ დიდი ხანია, დაინიშნა და თვლის, რომ იმ გუნდთან ერთად, რომელმაც მას ნდობა გამოუცხადა, მისი საქმიანობა საკმაოდ ნაყოფიერი და წარმატებული იქნება. გამორჩეულად მნიშვნელოვანი მისთვის ოჯახია, სადაც მშობლები და ბებია-ბაბუები ყოველთვის აძლევენ მაგალითს, თუ როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა სწორად. და-ძმა, რომლებთანაც სამაგალითო ურთიერთობა აქვს და ბედნიერია, რომ ბექა მასზე ბევრად უკეთესია და ნინო კი -ორივე ძმას სჯობს...

- დაახლოებით სამი წლის ვიყავი - ამბობს გიორგი , როდესაც საცხოვრებლად ხარაგაულში გადმოვედით. ზაფხულს ძირითადად დედულეთში, სოფელ ბაბში, ვატარებდით, სადაც გყვავდა დეიდა, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ჩვენს აღზრდაში. უზომოდ გვიყვარდა ბებია-ბაბუასთან ყოფნა. ერთხელ მე და ჩემი ძმა მეზობლის საწნახელში დავიმალეთ, მშობლებს რომ არ წავეყვანეთ. ძალიან საინტერესო და ბედნიერი ბავშვობა მქონდა. ურთიერთობები იყო კარგი, ისე ვცხოვრობდით მეზობლები, როგორც ერთი დიდი ოჯახი. ტკბილი მოგონებები მაქვს სკოლა-ბაღთან, სადაც დაწყებით კლასებში ვსწავლობდი, არაჩვეულებრივი პედაგოგები მყავდა. მეშვიდე კლასიდან სწავლა წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიაში განვაგრძე. იქაც საოცარი გარემო დამხვდა. განსაკუთრებული მადლობა მინდა, გადავუხადო მათემატიკის მასწავლებელ ქალბატონ ინესა კელენჯერიძეს, რომელმაც შემაყვარა ეს საგანი, რამაც განსაზღვრა ჩემი პროფესიის არჩევა. დამამთავრებელ კლასში მესამე საჯარო სკოლაში გადავედი. მაშინ სკოლის დირექტორი გახლდათ ქალბატონი დალი ლურსმანაშვილი, საოცარი ადამინი, რომელმაც ბევრი რამ ასწავლა ჩემს თაობას, მიგვაჩვია თავისუფალ, კრიტიკულ აზროვნებას. ჩემი ოჯახის წევრების უმეტესობა პედაგოგები არიან. სახლში გვაქვს არაჩვეულებრივი ბიბლიოთეკა და წიგნები რომ არ გვეკითხა, ნამდვილად დანაშაული იქნებოდა. მე და ჩემი ძმა ღამე საბნის ქვეშ ვიმალებოდით, ფანარს ვანთებდით და ისე ვკითხულობდით. წიგნების დახმარებით ვმოგზაურობდი საოცარ და საინტერესო სამყაროში. განსაკუთრებით მიყვარდა ჟიულ ვერნი, რომელიც დღემდე ჩემს საყვარელ მწერლად დარჩა. პროფესიის არჩევა ცოტა გამიძნელდა, მაგრამ, რადგან მათემატიკა ძალიან მიყვარდა, გადავწყვიტე სწავლა საბანკო-საფინანსო ფაკულტეტზე, ფინანსისტის სპეციალობით გამეგრძელებინა. ჩავაბარე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ორი წლის მერე გადავედი ილიას უნივერსიტეტში, რომელიც ჩემთვის ნამდვილად პირველი უმაღლესი სასწავლებელია, სადაც ახალგაზრდა ეუფლება არა მარტო პროფესიას, არამედ სწავლობს უმთავრესს - ჯანსაღ ურთიერთობებს ადამიანებს შორის.

-როგორ პერიოდში მოგიწიათ სტუდენტობამ და რით იყო ეს წლები განსაკუთრებული?

-სტუდენტობა ისევ და ისევ ხარაგაულს უკავშირდება. ყოველ თავისუფალ დღეს მეგობრებთან ერთად აქ ვატარებდი. მახსოვს, ერთხელ გამოცდა მქონდა. იმ დღეს ხარაგაულში მოვდიოდი. დრო ისე გავთვალე, უნდა მომესწრო გამოცდის ჩაბარებაც და წამოსვლაც, მაგრამ ლექტორმა დააგვიანა ტესტების შემოტანა და მივხვდი , ვეღარ მივუსწრებდი მატარებელს. ამიტომ დაუფიქრელად, სწრაფად შემოვხაზე პასუხები და გავიქეცი რკინიგზის სადგურში. რა თქმა უნდა, ის საგანი ხელახლა ჩავაბარე... სტუდენტობის პერიოდში მეგობრებმა დავაარსეთ არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ინიციატორთა კავშირი„ . ეს ის დრო იყო, როცა ხარაგაულში არანაირი საინტერესო აქტივობა არ ხდებოდა და გვინდოდა რაიონის გამოცოცხლება. პირველად ჩავატარეთ ქუჩის კალათბურთის ტურნირი, რომელიც დღემდე ტარდება და საკმაოდ ფართომასშტაბიანი სახე მიიღო. მოვაწყეთ რამდენიმე საქველმოქმედო აქციაც და დავეხმარეთ გაჭირვებულ ოჯახებს. ვრგავდით ნერგებს, ასევე გავაკეთეთ ძალიან საინტერესო პროექტი „ისაუბრე ქართულად„. ვფიქრობ, ეს საქმე უკვე ახალმა თაობამ უნდა გადაიბაროს და ჩვენ კი მათ გამოცდილებას გავუზიარებთ. მეორე კურსის სტუდენტი ვიყავი, როდესაც მივხვდი, რომ აუცილებელი იყო საკუთარი შემოსავალი მქონოდა. მუშაობა დავიწყე გზავნილების კომპანია „იგლ ექსპრესში„, 2014 წელს ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის, ნოდარ ებანოიძის, რეკომენდაციით, სტაჟირება გავიარე ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტში და ამის შემდეგ დავინიშნე ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროში ფინანსისტად. 2015-2016 წლებში გახლდით მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომელი საზოგადოებასთან ურთიერთობების საკითხებში, სადაც არაჩვეულებრივი გუნდი დამხვდა. ვთვლი, რომ ქალბატონი ლენა კალანდაძე არის ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი და თავისი საქმის პროფესიონალი, ასევე ზაალ ორბელაძე საუკეთესო იურისტი, რომლებმაც ბევრი რამ მასწავლეს და მინდა, ამისთვის მადლობა გადავუხადო მათ.

-მერიის ერთ-ერთ საპასუხისმგებლო სამსახურს ხელმძღვანელობთ. როგორ შეაფასებთ თქვენს მუშაობას ამ რანგში?

-როდესაც ბატონ ნიკოლოზ თოფურიძეს შევხვდი, პოლიტიკურ თემებზე ერთი სიტყვაც არ უთქვამს და ხარაგაულის რეალობაში ეს იყო ჩემთვის აღმოჩენა. მითხრა, რომ სურვილი ჰქონდა მუნიციპალიტეტის მმართველობაში ნიჭიერ ახალგაზრდებს მიეღოთ მონაწილეობა და შემომთავაზა სამსახური მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის განყოფილებაში, რაზეც დიდი სიხარულით დავთანხმდი, რადგან ეს ის სფეროა, რაც მიყვარს და მაინტერესებს. დღეს სამსახურის უფროსი ვარ და, სიმართლე გითხრათ, წლების წინ ვერც წარმომედგინა, ხარაგაულში რომელიმე სამსახურს თუ ჩავუდგებოდი სათავეში. მადლობა მინდა, გადავუხადო ნდობისთვის ნიკოლოზ თოფურიძეს და ვეცდები, მისი იმედები გავამართლო. ეს არის უდიდესი პასუხისმგებლობა, რომელიც სრულიად გათვითცნობიერებული მაქვს. უნდა აღმოაჩინო ნაკლოვანებები და მისი გამოსწორების გზები დასახო. მთავარია, ადამიანებმა სწორად გაიგონ ის, რომ რასაც ჩვენ ვაკეთებთ, მნიშვნელოვანი და სასიკეთოა მათივე საქმიანობის პროდუქტიულობისათვის. მე და ჩემი მეგობრები, რომლებიც დღეს სხვადასხვა სამსახურს ვხელმძღვანელობთ, ვმუშაობთ მხოლოდ ერთადერთი მიზნისთვის - თითოეულმა ხარაგაულელმა უკეთეს ხარაგაულში იცხოვროს!

-რას ეტყვით მომავალ თაობას , მაინც რა არის მთავარი წარმატების მისაღწევად ?

-ყველა თაობა თავისი ხედვებითა და იდეებით განსხვავებულია. ვთვლი, რომ ჩვენ ერთ-ერთი გამორჩეული და საღად მოაზროვნეები ვართ. მაგრამ შემდეგი თაობა ბევრად უკეთესია და მიხარია, რომ მოდიან კიდევ უფრო მეტად განათლებული, მიზანსწრაფული და შრომისმოყვარე ახალგაზრდები... პირველ რიგში, მთავარია, იყო ადამიანი, ყოველგვარი დიპლომებისა და რეგალიების გარეშე... შემდეგ მნიშვნელოვანია, გქონდეს მიზანი, სწორად შეარჩიო პროფესია და იყო შრომისმოყვარე... ყველაფერი უნდა გააკეთო მიზნის მისაღწევად... მინდა, წარმატებები ვუსურვო ყველა იმ ახალგაზრდას, ვინც ახლა დგამს პირველ ნაბიჯებს ცხოვრების დიდ გზაზე და ვუთხრა, რომ მთავარია, ბოლომდე ღირსეულ ადამიანებად დარჩნენ, შეუძლებელი კი არაფერია ამქვეყნად!

ლელა გუგულაშვილი

ნიკოლოზ თოფურიძემ მერიის საფინანსო სამსახურის თანამშრომლებს მადლობა გადაუხადა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე საფინანსო სამსახურის თანამშრომლებს შეხვდა და გასული წლის ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნების გამო მადლობა გადაუხადა.

„ჩვენ ერთად მშვიდობიანად დავასრულეთ გასული წელი და ბევრად უფრო წარმატებით გავივლით მიმდინარე წელს. სწორი ფინანსური მენეჯმენტი და კონტროლი არის ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი ადგილობრივ თვითმმართველობაში. ფინანსური ინსტიტუციების სწორი და მიზნობრივი ფუნქციონირება განსაზღვრავს მომავალში ხარაგაულში განსახორციელებელ პროექტებისა და პროგრამების მასშტაბურობას. 2017 წელს თქვენ შეძელით და თითქმის კრიზისული მდგომარეობიდან გამოიყვანეთ მუნიციპალიტეტი, ამიტომ მადლობა, რომელიც მივიღეთ ხელისუფლებისგან, ჩემთვის ძალიან საამაყოა და თითოეული თქვენგანის დამსახურებაა. ვთვლი, რომ გამოცდილი და კვალიფიციური კადრებითაა დაკომპლექტებული საფინანსო სამსახური და ვგრძნობ, რომ პასუხისმგებლობა, რაც გაკისრიათ, გაასმაგებული გაქვთ“,-აღნიშნა ნიკოლოზ თოფურიძემ.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ წაქვაში მცხოვრებ ქალბატონს 101 წლის იუბილე მიულოცა

ხევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ წაქვაში მცხოვრებ შუშანა გელაშვილს 101 წელი შეუსრულდა. ხარაგაულის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ და მერიის სოციალური სამსახურის უფროსმა ნანა კიკნაძემ სოფლის წარმომადგენლებთან ერთად, უხუცეს ქალბატონს დაბადების დღე მიულოცეს. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა შუშანა გელაშვილს ჯანმრთელობა, მხნეობა და მრავალრიცხოვან ოჯახთან ერთად ტკბილი სიბერე უსურვეს. ქალბატონ შუშანას 3 შვილიშვილი, 6 შვილთაშვილი და 8 შვილთაშვილის შვილი ჰყავს. ადგილობრივი ბიუჯეტიდან იუბილარს 500 ლარი ჩაერიცხა.

„ჰეი, ვინ მოდის მანდ მომავლიდან?!“

ყოველ ეპოქაში საზოგადოების უმთავრესი საზრუნავი იყო მომავალი- ვინ ჩაიბარებს ცხოვრების საჭეს, ქვეყნის მართვის სადავეებს. აქცენტი, ბუნებრივია, ახალგაზრდობაზე კეთდებოდა და კეთდება დღესაც... და გიხარია სიმრავლე იმ ჭაბუკებისა, იმ ქალიშვილებისა, რომლებიც ადრიანად პოულობენ საკუთარ თავს, აქვთ უნარი ცოდნის მობილიზებისა, საკუთარ შესაძლებლობათა რეალიზებისა, გათავისებული აქვთ რწმენა, რომ ყოველგვარი წარმატების საფუძველი არის თავდადებული შრომა, წიგნთან სიახლოვე...

და უმრავლესთაგან ერთ-ერთი, უფლისგან ამ თვისებებით დაჯილდოებული, ბორითის საჯარო სკოლის მეათე კლასის წარჩინებული მოსწავლე სალომე რიკაძეა. ამჯერად კი მისადმი ინტერესი განსაზღვრა იმ წარმატებამ, რომელიც მან მოიპოვა ქართული კალიგრაფიის კონკურსზე.

* * *

2018 წელი დიდი ერისკაცის, საქართველოსთვის თავდადებული მამულიშვილის, სულხან-საბა ორბელიანის, საიუბილეო წელია. დიდ მამულიშვილს დაბადებიდან 360 წელი უსრულდება. სწორედ ამ თარიღს მიეძღვნა ზემოაღნიშნული კონკურსი, რომელიც ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის (უფროსი ირინე ჩხეიძე) ორგანიზებით მოეწყო. კონკურსი მიზნად ისახავდა სულხან-საბას დიდაქტიკურ-შემეცნებითი თხზულებიდან „წიგნი სიბრძნე სიცრუისა„ ხარაგაულის საჯარო სკოლების მოსწავლეთა მიერ ერთ-ერთი იგავის გამორჩეული კალიგრაფიით დაწერას. ჟიურიმ სამი გამარჯვებული გამოავლინა. პირველი ადგილი ბორითის საჯარო სკოლის მეათე კლასის მოსწავლე სალომე რიკაძემ მოიპოვა, მეორე- საღანძილის საჯარო სკოლის მეცხრეკლასელმა ქრისტინე ტაბატაძემ, ხოლო მესამე წილად ხვდა ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის მეათეკლასელ



ბარბარა ბარბაქაძეს.

* * *

მიუხედავად იმისა, რომ სასკოლო პროგრამით ჯერჯერობით მეათეკლასელებს სრულად არა აქვთ შესწავლილი ამ დიდი მოაზროვნის შემოქმედება, წინა კლასებში შესწავლილითა და, ზოგადად წიგნიერების წყალობით, გოგონამ ჩვენთან საუბარში სულხან-საბას ღვაწლის შესახებ საკმაოდ სერიოზული ცოდნა გამოავლინა.

სალომე რიკაძე: - სულხან-საბა ორბელიანი, თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით ქართველთა საამაყო წინაპარია. მახსოვს ერთ-ერთი მისიონერის სიტყვები, რომელსაც სწერდა საბას შესახებ საფრანგეთის მინისტრს: „მთელს საქართველოს მამად მიაჩნია„. მარტო მუხრან მაჭავარიანის ლექსი „საბა„ რად ღირს? ან უამრავ ქართველთა თვალით დანახული საბა, რომელიც ერთ-ერთ ხალხურ ლექსში ასე ხასიათდება:

„სულხან-საბა ორბელის ძე
სიბრძნით აღხდა ორბების ზე.„

საბასადმი ჩემი ინტერესი კიდევ უფრო გაძლიერდა, როცა მიხეილ კეკელიძის „ბრწყინვალე ვარსკვლავის მაძიებელნი„ წავიკითხე. აქედან გამომდინარე, დიდი პასუხისმგებლობით ჩავები კონკურსში და გამარჯვებამ, როგორც იტყვიან, ფრთები შემასხა, სამომავლოდ მოტივაცია ამიმაღლა. ეს წარმატება უპირველესად ჩემი მშობლიური ენის მასწავლებლების -ელზა ბარბაქაძისა და მანანა ბარბაქაძის - დამსახურებაა. დაწყებით კლასებში ელზა მასწავლებელი და მეხუთე კლასიდან მანანა მასწავლებელი მიძლიერებდნენ ინტერესს, რომ ბევრი მემუშავა „ ქართული ენის ჩუქურთმაზე„ (იოსებ გრიშაშვილი). საბოლოოდ კი ყველა ჩემი წარმატება რომ სკოლის საერთო წინსვლაზე აისახება, ეს ორმაგად მახარებს.

კალიგრაფიის კონკურსზე სალომე რიკაძემ იგავი „ძუნწი და ოქრო„ აირჩია. რასაკვირველია, დიდი შემოქმედის მიერ „სიბრძნე სიცრუისაში„ მოხმობილი ყოველი იგავი დიდი სიბრძნის შთამაგონებელია, მაგრამ მთავარი ისაა, რომ არჩევანში აშკარად გამოიკვეთა გოგონას თვალთახედვა ადამიანის ცხოვრების შესახებ. უმჯობესია ისევ სალომეს მოვუსმინოთ: ჩემი აზრით, რა მნიშვნელობა აქვს ქონებას, თუ მას საკუთრივ შენი ან სხვათა ბედნიერებისათვის არ გამოიყენებ. დიდი რუსთველი ხომ შეგვაგონებს: „ რასაცა გასცემ შენია, რასც არა-დაკარგულია„, ან წმინდა ილია მართლის რჩევა გავიხსენოთ: „ყოველს დღესა შენს თავს ჰკითხო: აბა დღეს მე ვის რა ვარგე?„ალბათ ის ძუნწი, ოქრო რომ მიწაში დამალა, ან ვერასდროს გამოიყენებდა სასიკეთოდ, ან იმ დროს შეეცდებოდა მის გამოყენებას, როცა მოხმარების შნოც თითქმის აღარ ექნებოდა. სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი მაგონდება, ჯურღმულში რომ აცხოვრა ცოლ-შვილი, უკიდურეს გაჭირვებაში. სოროში აგროვებდა დაუთვლელად ფულს, თვითონაც კი გაუკვირდა იმდენი აღმოჩნდა დაგროვებული, შემდეგ შეიძინა არაჩვეულებრივი ბინა და მოაწყო სხვისი გემოვნებით (რადგან საკუთარი გემოვნება არ ჰქონდა), ჯურღმულიდან სასახლეში გადაიყვანა ცოლ-შვილი, მაგრამ საბრალოები ისე ცხოვრობდნენ, როგორც უცხოები, რადგან არაფრის გამოყენების ჩვევა არ ჰქონდათ გამომუშავებული. როგორ შემებრალნენ!

უსმენ გოგონას მსჯელობას და აღარ გიკვირს, თუ რატომ გაიმარჯვა მისმა დაწერილმა თემამ პროექტში „რწმენა ჩვენს ცხოვრებაში„. ორასი მონაწილიდან ოცდაშვიდი შეირჩა და ერთ-ერთი სალომე რიკაძე იყო. სალომე წერს საუკეთესო ესეებს. დიდი წარმატება მოჰყვა ამ ჟანრში საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში მის მიერ შესრულებულ ნამუშევრებს: „მოგზაური ვარ წუთისოფელში,„ „ცოდნა და განათლება„. სალომეს არც სასწავლო შემოქმედებითი კონფერენციები რჩება ყურადღების მიღმა. მან წარმატებით დაიცვა ილიას „მგზავრის წერილებზე„ გააზრებული თემა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტში.

ჩამოსათვლელი და თანატოლთათვის გასაზიარებელი წარმატება კვლავ ბევრი აქვს წარჩინებულ მოსწავლეს, მაგრამ ამჯერად ეს ვიკმაროთ.

სალომე რიკაძის პედაგოგები აღნიშნავენ, რომ მის წინსვლაში დიდია ოჯახის, მშობლების, როლი. გოგონას შრომისმოყვარეობისა და ცოდნის ინტერესისადმი მიდრეკილი ოჯახი აძლევს მაგალითს, რომ ბედნიერებისა და წარმატების უმთავრესი გზა თავდადებული შრომაა, წიგნიერებისაკენ სწრაფვაა. ამ გზით სვლა სალომეს აასრულებინებს ოცნებას- გახდეს იურისტი, დაეუფლოს კანონებს საფუძვლიანად და იბრძოლოს ნებისმიერ საქმეში სიმართლისა და სამართლიანობის გამარჯვებისათვის.

„ჰეი, ვინ მოდის მანდ მომავლიდან?!„ -პოეტის ამ ძალზე ტევადი შინაარსის შემცველი კითხვიდან დავასკვნით: ვინ მოდის? სალომე რიკაძე მოდის, მისი მსავსები მოდიან, რომლებიც თავიანთი შემართებითა და პატრიოტული საქმეებით გააბრწყინებენ საყვარელ მამულს- მრავალჭირნახულ იბერთა მიწას!

გჯეროდეთ!

მერი გიორგიძე

ხარაგაულის მერიამ, გზების რეაბილიტაციის მიზნით, ტენდერში გამარჯვებული კომპანიები გამოავლინა

მარელისში კაპნარი-კელასოურის დამაკავშირებელი სასოფლო გზის მობეტონება იწყება. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან ხელშეკრულება უკვე გააფორმა. მარელისში გზაზე ბეტონის საფარი 1 740 მეტრზე დაიგება. პროექტი რეგიონული განვითარების ფონდიდან 332 852 ლარით ფინანსდება. ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსება 5%-ს შეადგენს. გარდა ამისა, ნიკოლოზ თოფურიძემ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომლის ფარგლებშიც ღარიხევსა და ქროლში საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა იწყება. ქროლში ბეტონის საფარი 2 030 მეტრზე მოეწყობა, ხოლო ღარიხევში, დეკანოსიძეების უბანში, გზის კაპიტალური რეაბილიტაცია 1 200 მეტრზე განხორციელდება. ქროლისა და ღარიხევის გზის რეაბილიტაციისათვის 331 592 ლარი დაიხარჯება. გზებზე სარეაბილიტაციო სამუშაოები აგვისტოს დასაწყისში დასრულდება.

მადლობა ხარაგაულის საავადმყოფოს მედპერსონალს

რამდენიმე დღის წინ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო აღმოვჩნდი ხარაგაულის შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრში“ (მენეჯერი შალვა ბიჭიაშვილი). თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ აქ პროფესიული ოსტატობითა და პასუხისმგებლობის დიდი გრძნობით დაჯილდოებული ექიმები მუშაობენ. დიდი მადლობა თქვენ, თითოეულ პაციენტზე დახარჯული ენერგიისათვის, პროფესიონალიზმისა და დაუღალავი მზრუნველობისათვის. ის წესრიგი, რაც თქვენთან სუფევს, არა მგონია ბევრ სხვა კლინიკაში იყოს. აღფრთოვანებას ვერ ვმალავ იმ სიკეთისა და გულისხმიერების გამო, რასაც კლინიკის ხელმძღვანელობა პაციენტების მიმართ იჩენს. ღმერთმა დიდხანს გამყოფოთ გამოჯანმრთელების მოლოდინში მყოფ ადამიანთა სადარაჯოზე.

ᲔᲗᲔᲠᲘ ᲚᲣᲠᲡᲛᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ

სოფელ თეთრაწყაროში მცხოვრები

უფალმა გაგაძლიეროთ!

პაციენტებისაგან მადლიერების სიტყვები ხშირად მსმენია ხარაგაულის საავადმყოფოს (მენეჯერი შალვა ბიჭიაშვილი) მედპერსონალის მისამართით. მინდა, ამ მადლიერებას მეც შევუერთდე, რადგან, ერთმა უბრალო ადამიანმა, თავად განვიცადე მათი გულისხმიერება და მზრუნველობა. დიდი მადლობა იმ რწმენისათვის, რაც სტაციონარიდან გამომაყოლა თოთოეულმა ექიმმა, ექთანმა და სანიტარმა. ჯანმრთელობას, წარმატებასა და დიდ პროფესიულ წინსვლას ვუსურვებ კლინიკის ხელმძღვანელობას. უფლის მადლმა გაგაძლიეროთ თქვენს ოჯახებთან ერთად!

ᲔᲕᲐ ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ-ᲡᲛᲘᲠᲜᲝᲕᲐ,

მესამე საჯარო სკოლის დარაჯი

ᲞᲐᲞᲘᲚᲝᲛᲐ ᲕᲘᲠᲣᲡᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲯᲐᲜᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲛᲐ ᲓᲐᲑᲘᲡ ᲛᲔ-2 ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐ



ხარაგაულის N2 საჯარო სკოლაში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის (ხელმძღვანელი-შმაგი ხიჯაკაძე) იმუნიზაციის ჯგუფის ხელმძღვანელის თანაშემწე ნანა ბერაძემ პაპილომა ვირუსის შესახებ საინფორმაციო შეხვედრა გამართა, რომელსაც მოსწავლეები, მშობლები, სკოლის ექიმი და პედაგოგები ესწრებოდნენ. პრეზენტატორმა ნანა ბერაძემ დეტალურად ისაუბრა აღნიშნული დაავადების შესახებ. ყურადღება გამახვილდა ასევე გენიტალურ მეჭეჭებზე. ქალბატონი ნანას განმარტებით, იმუნიცაზია ყველაზე ეფექტური და უსაფრთხო გზაა ბავშვის საშიში დაავადებისაგან დასაცავად. მისივე თქმით, მნიშვნელოვანია ნებისმიერი დაავადების დროული დიაგნოსტიკა და შემდგომ მისი სწორი მართვა.

შეხვედრაზე დამსწრე საზოგადოების მხრიდან დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხები გაეცა.

პრეზენტატორმა აქტიური თანამშრომლობისათვის მადლობა გადაუხადა მე-2 სკოლის დირექტორს, ვალერი გოგნაძეს.

აღსანიშნავია, რომ ჯანდაცვის ცენტრი მსგავსი ტიპის ღონისძიებებს საჯარო სკოლებში პერმანენტულად ატარებს.

საგანმანათლებლო კვირეული დაიწყო

ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ინიციატივით, უკვე მეორე წელია, „საგანმანათლებლო კვირეული„ ხორციელდება, რომლის მიზანია მოსწავლეებში შემოქმედებითი უნარების გამოვლენა და სასწავლო პროცესებში მოტივაციის ამაღლება. აღნიშნული კვირეულის ფარგლებში პირველი ღონისძიება - ესეების კონკურსი „ერთი დღე„ - ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში გაიმართა და გამოვლინდნენ გამარჯვებულები. მუნიციპალიტეტის მასშტაბით, პროექტში ჩართულმა სამოცდასამმა მოსწავლემ 15 სხავადასხვა პოზიციაზე ისურვა ერთი დღის გატარება. მათგან რვამ დაწერა თემა - როგორ წარმოუდგენიათ ერთ დღე მუნიციპალიტეტის მერის ამპლუაში. სპეციალურად შერჩეულმა ჟიურიმ აღნიშნულ პოზიციაზე გამარჯვებულად ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიის მეცხრე კლასის მოსწავლე საბა ებანოიძე გამოავლინა. საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობას ხიდრის საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე თამუნა გლუნჩაძე დაიკავებს. რაც შეეხება მაჟორიტარ დეპუტატს, ამ რანგში ერთ დღეს ლიზი ბარბაქაძე (N2 საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე) და ლეილა ხიჯაკაძე (წყალაფორეთის საჯარო სკოლის მე-11-ე კლასის მოსწავლე) მოგვევლინებიან.

გარდა ამისა, სხვა ნომინაციები ასე გადანაწილდა:

საჯარო სკოლის დირექტორი-ნიკა ბერაძე (ბორის საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე), თამთა გოგნაძე (ზვარის საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე), ნუნუ ბერაძე (ხიდრის საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე), მურად ოკრიბელაშვილი (ვარძიის საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე), ანა მეიფვარიანი (დაბის მე-3 საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე), ლია კამკამიძე (ბაზალეთის საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე) და ქეთევან სარალიძე (წყალაფორეთის საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე);

„ცენტრალური ბიბლიოთეკის„ დირექტორი- თამარ ოკრიბელაშვილი (ვარძიის საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე);

საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი -თეო გოლუბიანი (წმინდა ანდრია პირველწოდებულის სასულიერო გიმნაზიის მეცხრე კლასის მოსწავლე);

„ძეეზოვე“- I ადგილი - ნინო ხაჩიძე (ხევის საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე), II ადგილი - თამარ ჭიპაშვილი (დაბის N2 საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე), III ადგილი - აზა ბერაძე (ბორის საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე) და თამარ ლურსმანაშვილი (წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიის მეცხრე კლასის მოსწავლე). ჟიურის რჩეული - გოგა აბაშიძე (დაბის N 2 საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე);

ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების დირექტორი- გუგა ბერაძე (დაბის N2 საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე);

„სოფლის დეპუტატი„ - ბაზალეთში - ანა კვინიკაძე (დაბის N3 საჯარო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე), ზვარეში -თინათინ თიკანაშვილი (ზვარის საჯარო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე), ვახანში- ვანდა ღონღაძე (ვახანის საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე), წყალაფორეთში - მარიამ ქელეშაშვილი (წყალაფორეთის საჯარო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე), ლეღვანში - ნონა ყიფიანი (მარელისის საჯარო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე), კიცხში- სალომე მაჭავარიანი (ბორის საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე), ხიდარში - ოთარ ბერაძე (წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიის მე-11 კლასის მოსწავლე), სარგვეში - ზაურ კალანდაძე (სარგვეშის საჯარო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე);

მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი- მარიამ ჭყოიძე (წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიის მე-10 კლასის მოსწავლე);

„პედიატრი„ - მარიამ კოჩაძე (მარელისის საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე); „სტომატოლოგი„ - სოფო ბერაძე (ხიდრის საჯარო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე);

„ჩემი იმერეთის„ რედაქტორი- ნინო შვეღიძე (წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიის მე-10 კლასის მოსწავლე);

„მაღაზიის გამყიდველი“- ლანა ჩალხაშვილი (კიცხის საჯარო სკოლის მე-11-ე კლასის მოსწავლე);

საგანმანათლებლო კვირეულის ფარგლებში გამართულ ღონისძებას ხარაგაულის მერი, ნიკოლოზ თოფურიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე რუსუდან გიორგაძე და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ. ნიკოლოზ თოფურიძემ კონკურსში მონაწილეებს გამარჯვება პირადად მიულოცა და აქვე აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო კვირეული მეტად საინტერესო შედეგებით დასრულდება და ის ხელს შეუწყობს, მოსწავლე - ახალგაზრდობის სწავლის მიმართ ინტერესის გაძლიერებას.„

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲛᲐᲦᲠᲐᲫᲔ

კიცხის საჯარო სკოლა 150 წლისაა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ კიცხის საჯარო სკოლას დაარსებიდან 150 წელი შეუსრულდა. იუბილეს აღსანიშნავად საზეიმო ღონისძიება გაიმართა, რომელსაც ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე, საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე, საგანმანათლებლო რესურსცენტრისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები დაესწრნენ. აღსანიშნავია, რომ კიცხის სკოლა წლების განმავლობაში ცოდნის ერთ-ერთი მთავარი კერა იყო ხარაგაულში, რომელშიც ცნობილი პროფესიონალი პედაგოგებით მოღვაწეობდნენ. ღონისძიებაზე სკოლის დირექტორმა თამარ წიწილაშვილმა და მიმოიხილა ამ უძველესი სასწავლო დაწესებულების განვითარების ისტორია. ისაუბრა ყველა იმ სიახლეზე, ინოვაციურ პროექტსა და წარმატებებზე, რომლებიც უშუალოდ მისი ხელმძღვანელობით ხორციელდება.

მოსწავლეებმა გაიხსენეს ღვაწლმოსილი პედაგოგები და წარმოადგინეს ფოტომასალა არქივიდან და კმაყოფილება გამოთქვეს, რომ მათი სკოლა კვლავ აგრძელებს იმ ტრადიციებს, რაც მისთვის წლების განმავლობაში იყო დამახასიათებელი. საღამოზე ქართული ფოლკლორული სიმღერები შეასრულა ანსამბლმა „ოდილამ„.

კიცხში საგანმანათლებლო დაწესებულებამ პირველად ფუნქციონირება 1870 წელს დაიწყო. საეკლესიო-სამრევლო სკოლის გახსნაში აქტიურად მონაწილეობდა მღვდელი გიორგი ანთაძე, რომელმაც თავისი სახლი დათმო სკოლის შენობისათვის. ერთი წლის შემდეგ ქუთაისის გუბერნიის განათლების ინსპექტორმა შეამოწმა სკოლის საქმიანობა და მუშაობა დადებითად შეაფასა. ამის შემდეგ კი ხარაგაულის მამასახლისს მიუთითა, ეზრუნა სკოლის განვითარებაზე და 1934 წელს საგანმანათლებლო დაწესებულება საშუალო სკოლად გადაკეთდა. 1964 წელს კი სოფელში სკოლის ახალი შენობა აიგო და დღემდე წარმატებით ფუნქციონირებს. კიცხში, ამ ძირძველ კერას ამჟამად 100 მოსწავლე ეუფლება და იკვლევს სამომავლო გზებს. პედაგოგების რაოდენობა კი 28-ს შეადგენს, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული სხვადასხვა პროექტში. მოსწავლეებს უფასო ტრანსპორტი ემსახურება. სკოლას ნამდვილად ბევრი რამ აქვს საამაყო - ისტორია, ტრადიციები და, რაც მთავარია, პედაგოგები, რომლებმაც არაერთი წარმატებული მოსწავლე აღზარდეს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ 150 წლის იუბილე მიულოცა მოსწავლეებს, პედაგოგებს, სკოლის ამჟამინდელ დირექტორს, ქალბატონ თამარ წიწილაშვილს და ხაზგასმით აღნიშნა, რომ კიცხში სულ მალე ახალი სკოლა აშენდება. ნიკოლოზ თოფურიძის ინფორმაციით, ამ საკითხთან დაკავშირებით მერიის შესაბამისი სამსახურები განათლებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენლებთან უკვე მუშაობენ. „სკოლა განათლებისა და კულტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი კერაა, რომელიც მომავალი თაობის აღზრდა-განვითარებას ემსახურება. ამ მისიას წლების განმავლობაში პირნათლად ემსახურება კიცხის საჯარო სკოლა. ამიტომ ჩვენი მიზანია, ახალგაზრდებს ჰქონდეს მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა და ადგილობრივმა თვითმმართველობამ ამ მიზნით კონსტრუქციული ნაბიჯებიც გადადგა. ეს კერა ნამდვილად ამაყობს განვლილი გზით, კურსდამთავრებულთა მიღწევებით და დარწმუნებული ვარ, მომავალშიც უდიდეს წვლილს შეიტანენ ჩვენი ქვეყნის განვითარებაში„,-აღნიშნა მერმა.

ᲛᲔᲪ ᲕᲘᲐᲛᲐᲧᲔᲑ...

მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისში მე და ჩემმა სამმა თანაკლასელმა ბაზალეთის საჯარო სკოლიდან ხარაგაულის მესამე საჯარო სკოლის მეათე კლასში გადმოვინაცვლეთ. აღმოვჩნდით ძალინ თბილ გარემოში. დამხვდურთათვის სულ მალე გავხდით შინაურები. მათ გვიამბეს , რომ წლებია, კლასი მეგობრობს ხარაგაულის საზოგადოების გამორჩეულ პიროვნება იუზა (ვალოდა) კელენჯერიძესთან. უფროსი მეგობარი ძალზე დაინტერესებულია მათი კარგი სწავლითა და ყოფაქცევით, იჩენს მზრუნველობასა და დიდ სიყვარულს მათ მიმართ. ჩვენ, ახლები, ვოცნებობდით, რომ გავმხდარიყავით ვალოდა ბაბუს უმცროსი მეგობრები და ამის შესაძლებლობაც მალე მოგვეცა. 27 მარტს ოფისში ვეწვიეთ მეათეკლასელები და დაბადების დღე მივულოცეთ. განსაკუთრებით გაიხარა, რომ მე , ბექა დეკანოსიძე, მისი მშობელი დედის მოგვარე აღმოვჩნდი. დაწვრილებით გამომკითხა ჩემი მშობლებისა და წინაპრების შესახებ.

ბედნიერი ვარ, რომ ამიერიდან ისე ვიამაყებ ვალოდა ბაბუსთან მეგობრობით, როგორც ჩვენი კლასელები ამაყობენ.

ვლოცავთ, რომ სიხარული და ბედნიერება არ მოაკლოს უფალმა თავის ოჯახთან ერთად და მუდამ გაიხაროს ჩვენი წინსვლა-წარმატებებით.

ᲑᲔᲥᲐ ᲓᲔᲙᲐᲜᲝᲡᲘᲫᲔ

ხარაგაულის მესამე საჯარო სკოლის მეათე კლასის მოსწავლე

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“

მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი

ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ: ᲔᲙᲐ ᲨᲐᲕᲘᲫᲔ; ᲢᲔᲚ.: 595-51-98-12